პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 მაისი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 123 (14727)

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანა და მთავარი მიმართულებაა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების შნიშვნელოვანი და საყოველთაო ზრდა. ამ პრობლემას დიდი უურადღება დაუთმო ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ხაზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება მომთხოვნელობა კადრებისადმი. ბევრი რამ არის დამოკიდებული მათს გამოცდილებასა და ცოდნაზე, მათს უნარზე ხელმძღვანელობდნენ ეკონომიური კანონების, ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებით. ცხადია ისიც, რომ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, როცა ეურდნობა მშრომელთა მზარდ აქტივობას, როცა თვითეული ადამიანი თავის სამუშაო ადგილზე მთელ ძალ-ღონესა და უნარს ახმარს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას, როცა წარმოების მართვის ორგანული ელემენტებია მაღალი ორგანიზებულობა, თვითეული მუშაკის მტკიცე დისციპლინა და პასუხისმგებლობა.

მეურნეობის სოციალისტური რეხისტემის შექმნასა და განმტკიცებაში ვ. ი. ლენინი დიდმნიშვნელოვან როლს ანიჭებდა მშრომელთა ეკონომიურ აღზრდას, შეჯიბრებისა და საწარმოო პროპაგანდის ორგანიზაციას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა განსაკუთრებით დიდი უურადღება მიექცეს მშრომელთა ამხანაგური დისციპლინის განვითარებასა და განმტკიცებას და მათი თვითმოქმედებისა და პასუხისმგებლობის შეგნების ყოველმხრივ ამაღლებას" (იხ. თხზულებანი, ტ. 29, გვ. 144).

ჩვენი პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის შეგნების, შემოქმედებითი აქტივობის, ორგანიზებულობის ამაღლებისათვის, აუმჯობესებს იდეურ აღზრდასა და ეკონომიურ განათლებას.

პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემას. 1969-1970 სასწავლო წელს ყოველი მეხამე, ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში კი ყოველი მეორე კაცი, რომელიც შეცადინეობდა პარტიული განათლების სისტემაში, ეუფლებოდა ეკონომიურ მეცნიერებას მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში, სემინარებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში,

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების პერიოდში მრავალი მილიონი მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი უურადღებით სწავლობდა ლენინის შრომებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზების, სოციალისტური მეურნეობრობის პრინციპებისა და მეთოდების შესახებ.

პროფესიული კავშირები, კომკავშირი, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებები, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა" მასობრივი პროპაგანდის საშუალებებით ავრცელებენ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას, აქტიურად ებმაენ მშრომელებს ტექნიკურ, ეკონომიურ შემოქმედებაში, წარმოების მართვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ მშრომელთა ეკონომიური აღზრდის ქმედითობის შემდგომ გადიდებას. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გავამდიდროთ ეკონომიური პროპაგანდის შინაარსი, გავუმჯობესოთ სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, რათა პარტიული სწავლების ყველა რგოლში, მასობრივ პროპაგანდასა და საწარმოო სწავლების სისტემაში მეტი უურადღებით ვეკიდებოდეთ პარტიის ეკონომიური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის პრობლემებს.

1970-1971 სასწავლო წლიდან დაწყებითს პოლიტიკურ სკოლაში ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიასთან და პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებთან ერთად შემოღებული იქნება ახალი საგანი — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლები". მისი შესწავლა გათვალისწინებულია ორი-სამი წლის თვის. გათვალისწინებულია მოიწყოს წარმოების სოციალისტური წესის ეკონომიური კანონების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების საწარმოო სანეობრივი ორგანიზაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა, ძირითადი სასწავლო-მეთოდური მასალები პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის გამოქვეყნდება „ეკონომიჩესკაია გაზეტასა" და ეურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეში".

მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლებში პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის შესწავლასას განსაკუთრებული ეურადღება უნდა მივაქციოთ სოციალისტური ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდების საკითხთა უფრო ღრმად განმარტებას, წლის მანძილზე ეველა მსმენელთან მოვაწყოთ 5-6 სპეციალური მეცადინეობა თემაზე „თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და პარტიის ეკონომიური პოლიტიკა".

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების, პარტიული აქტივის სკოლების მსმენელები შეისწავლიან დამატებითს კურსს — „სკკპ ეკონომიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე". უნდა გაფართოვდეს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების ეკონომიკის განყოფილებათა მსმენელების შემადგენლობა, გაიხსნას ასეთი განყოფილებები იქ, სადაც ეს საჭიროა.

უმაღლესი რგოლის ეკონომიურ სემინარებზე მიზანშეწონილია დაიწყოს ისეთი პრობლემების შესწავლა, როგორიცაა, მაგალითად, „საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების გზები", „წარმოების ინტენსიფიკაცია სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა", „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, მისი სოციალური, ეკონომიური პრობლემები", „წარმოების ეკონომიური სტიმულირების თეორიული პრობლემები", „ლენინის ეკონომიური მოძღვრება და ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა", „მარქსიზმ-ლენინიზმი სოზოგადოების მეცნიერული მართვის შესახებ და სხვა".

პროპაგანდის მასობრივი ფორმების სისტემაში გათვალისწინებულია ეკონომიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების, კომუნისტური შრომის სკოლების ქსელის გაფართოება, მათი სასწავლო პროგრამების შევსება შესაბამისი თემებით.

პარტიის ეკონომიური პოლიტიკის კონკრეტული მაგალითებით განმარტების დიდი შესაძლებლობები აქვთ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. ახლა საჭიროა ეკონომიურ თემებზე პუბლიკაციების გააზრებული სისტემა. უნდა გამოქვეყნდეს მეცნიერთა სტატიები სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებებისა და ძირითადი კატეგორიების შესახებ, დაიბეჭდოს სტატიები და მიღწევის გადაცემები, რომლებშიც საფუძვლიანად იქნება განანალიზებული სამეურნეო რეფორმის მსვლელობა, საქმიანი კომენტარები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედეგების შესახებ, ინფორმაციები ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების შესახებ.

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდამ უნდა ცხადყოს, რომ პარტიის პოლიტიკაში ორგანულად შერწყმულია ეკონომიური თეორია, სოციალისტური მეურნეობრობის ლენინური პრინციპები და თანამედროვე მოწინავე პრაქტიკა, რომ იგი მეცნიერული პოზიციებიდან ასახავს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, სახელმწიფოთა ადამიანების შრომითი აქტივობის გაძლიერების რეალურად მომწიფებულ ამოცანებს.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სწავლება კონკრეტული, საქმიანი იყოს, გვეხმარებოდეს გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ წარმოების განვითარებაში არსებული უარყოფითი მოვლენების მიზეზები, დავძლიოთ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობათა სრულ გამოყენებას, დავამკვიდროთ ახალი, პროგრესული. ლექციებისა და სემინარების გარდა, დიდი ადგილი უნდა დაეთმოს პრაქტიკულ მეცადინეობას ეკონომიურ ანალიზში, მსმენელებმა უნდა შეასრულონ პროპაგანდისტთა დავალებანი — განსაზღვრონ კოლექტივის მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები, შეიმუშაონ და განახორციელონ სამეურნეო ანგარიშის კონკრეტული ღონისძიებანი.

ეკონომიური სწავლა განუყოფელია მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისაგან. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის, პარტიის გადაწყვეტილებების, ეკონომიური მშენებლობისადმი მისი ხელმძღვანელობის მეთოდების ღრმა ცოდნა ამის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს განვუმტკიცოთ მაღალი იდეურობა, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი შეურიგებლობა, ურყევი რწმენა, რომ სწორია პარტიის პოლიტიკა, განვავითაროთ შემოქმედებითი აქტივობა. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული კომიტეტების მხრივ ეკონომიური ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ზუსტ კოორდინაციასა და მიზანსწრაფულ ხელმძღვანელობას, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა, იდეოლოგიურ დაწესებულებათა, სამეურნეო ორგანოთა პასუხისმგებლობის გადიდებას მისი შინაარსის, გაქანებისა და ეფექტიანობისათვის.

უნდა შევიმუშავოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თვითეულ საწარმოში მუშაკთა ეკონომიური სწავლების სისტემა, შევადგინოთ კვალიფიკაციის ამაღლების ისეთი სასწავლო გეგმები, რომლებშიც ტექნიკურ ცოდნასთან ერთად ორგანულად შეეიდოდა მინიმალურად ეკონომიური ცოდნაც. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ამჟამად მუშათა და კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული ეკონომიურ სწავლაში.

განსაკუთრებული ეურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიურ პროპაგანდას ახალგაზრდობაში, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა მუშაკის ნახევარს შეადგენს. პარტიული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმარონ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომ ეკონომიურ სწავლაში ჩააბან ყველა ახალგაზრდა მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი.

ეკონომიური პროპაგანდის ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ გამოცდილება, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს რიგი წლების განმავლობაში. პარტიის გორკის, დონეცკის, სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტები ეკონომისტების, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების, მეცნიერი მუშაკების აქტიური მონაწილეობით სისტემატურად განსაზღვრავენ პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემაში, სხვადასხვა ფორმის მასობრივ პროპაგანდაში ეკონომიური ცოდნის სწავლების შინაარსსა და მეთოდებს. პოლიტიკური განათლების სახლებში ისინი ამზადებენ ლექტორებსა და პროპაგანდისტებს, უშვებენ შესაბამის სასწავლო ლიტერატურას.

სვერდლოვსკის ოლქის პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ორგანოებმა შეიმუშავეს და ახორციელებენ ეკონომიური სწავლის სისტემას, მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფისათვის, ამ მიზნით აქტიურად იყენებენ პარტიულ განათლებასა და პროპაგანდის მასობრივ ფორმებს, აგრეთვე ეკონომიურ სწავლას წარმოებაში როგორც მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების შემადგენელ ნაწილს. დიდი ეურადღება ეთმობა ეკონომიური განათლების გაუმჯობესებას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

კადრების ეკონომიური მომზადების დარგში მეთოდიკური მუშაობის კოორდინაციისათვის საოლქო პროფსაბჭოსთან შექმნილია სპეციალური საბჭო. ყველა საწარმოში ეკონომიური სწავლა იგეგმება რამდენიმე წლისათვის, მისი წლიური გეგმები შეაქვთ კოლექტიურ ხელშეკრულებებში. შეძენილია ეკონომიურ კონფერენციათა მოწყობის დიდი გამოცდილება. ახეთ კონფერენციებში მონაწილეობენ ყველა ფორმის პარტიული სწავლის მსმენელები.

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის შინაარსსა და ფორეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ პროპაგანდისტული კადრები. ცხოვრება დაბეჭითებთ მოითხოვს, რომ თვითეულმა პროპაგანდისტმა კარგად იცოდეს წარმოების სოციალისტური წესის განვითარების კანონზომიერებანი, პარტიის ეკონომიური პოლიტიკა, შეეძლოს ასწავლოს მშრომელებს სოციალისტური მეურნეობრობის თეორია და პრაქტიკა.

მიზანშეწონილია ფართოდ მოვიზიდოთ ლექციების წასაკითხად, სემინარებისა და კონსულტაციების მოსაწყობად სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და მეცნიერი თანამშრომლები. პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებთან, საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციებთან ერთად ახალი სასწავლო წლის წინ უნდა მოაწყონ ყველა ფორმის ეკონომიური სწავლის პროპაგანდისტთა სემინარები. სახარგებლოა გამოვიყენოთ პროპაგანდისტთა საზაფხულო კურსების გამოცდილება ამ ამხანაგების მოსამზადებლად, რომლებსაც განსაკუთრებით სჭირდებათ თეორიული ცოდნის შევსება და მეთოდიკური გამოცდილების სრულყოფა.

პროპაგანდისტებთან მუშაობაში კარგი როლი შეასრულეს პარტიული მუშაკების და საწარმოთა ხელმძღვანელების გამოსვლებმა, რომელთა დროს აცნობდნენ სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, აანალიზებდნენ ეკონომიურ მაჩვენებლებს, შეხვედრებმა წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან.

პროპაგანდისტებსა და მსმენელებს დახმარებას გაუწევს სასწავლო მასალების გამოქვეყნება ეურნალებში „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე", „ეკონომიჩესკაია გაზეტა", აგრეთვე სრულიად საკავშირო რადიოსა და ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით გადაცემების სპეციალური ციკლები. უნდა გამოვუშვათ შესაბამისი თვალსაჩინო სახელმძღვანელოები, სასწავლო კინოფილმები, დიაფილმები და დიაპოზიტივების სერიები.

წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ ყველა პარტიული კომიტეტი შეიმუშავებს ეკონომიური სწავლის პერსპექტიულ გეგმებს, მუდამ ჩასწვდება შინაარსს, გააანალიზებს შედეგებს და მიაღწევს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებას.

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის მჭიდრო კავშირურთიერთობა პარტიის სამეურნეო პოლიტიკასთან კიდევ უფრო ხელშემწყობ პირობებს შეუქმნის კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

„პრავდა" 24.V 1970 წ.

დეკუტატობის კანდიდატი მაყვალა ნაჭყებია

ზატარა გოგონა იყო, ჯერ კარგად ვერც კი სწვდებოდა ჩაის ბუჩქის თაღოვან ზედაპირს, პლანტაციებში რომ წვიმაანს. მოგეხმარებითო, არ ისვენებდა იგი, და უფროსებმა აუხსნეს როგორ უნდა მოეკრიფა ჩაის ფოთოლი.

ამის შემდეგ შეეჩვია და ყოველდღე პლანტაციაში იყო. ზაფხულობით, როცა სკოლაში არ დადიოდა, არ ესაჭიროდა დილით ადრე ადგომა და სამუშაოზე წასვლა.

გავიდა რამდენიმე წელი, და კომკავშირელი მაყვალა ნაჭყებია ერთ-ერთი მოწინავე მეჩაიე გახდა სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ახლა უკვე მის მაგალითზე სხვები სწავლობდნენ. ის არა მარტო ჩაის ფოთლის კრეფის მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა, არამედ შესანიშნავად დაეუფლა ჩაის კულტურის მოვლა-პატრონობის აგროტექნიკას და მისთვის ჩაბარებულ ნაკვეთზე ყოველწლიურად უხვი მოსავალი მოჰყავდა.

და აი უკვე ექვსი წელია ზედიზედ დიდი გადაჭარბებით ასრულებს ჩაის კრეფის მოცემულ დავალებებს და მთელ მეურნეობაში პირველია.

როგორც შრომაში, ასევე ბეჯითი და დაუზარებელია საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. იგი აქტიურად მონაწილეობს მეურნეობის, სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. მისი ინიციატივით არაერთხელ მოეწყო შაბათობა მეურნეობის ტერიტორიის მწვანე ნარგავებით დამშვენებისა და დასუფთავების მიზნით.

მალე ამ ენერგიულმა და შრომისმოყვარე ქალიშვილმა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა მეურნეობის მუშამოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე იგი ერთხმად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქში.

...ხალხის მაღალმა ნდობამ ახალი ძალით აღავსო ეს შრომისმოყვარე ქალიშვილი. იგი დილიდან დაღამებამდე პლანტაციაშია. კრეფის ყოველდღიურ დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებს.

დიდ ჭყონში, როგორც რაიონის ყველა სოფელში, ჩაის ფოთლის კრეფა მთელი ძალით გაჩაღდა. მოწინავეთა პირველ რიგებშია ახალგაზრდა მეჩაიე მაყვალა ნაჭყებია.

შრომამ გამოაჩინა

საკავშირო ალკკ XVI ყრილობა

26 მაისს სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობაზე საკავშირო ალკკ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ვ. ტ. ივანოვმა.

შემდეგ დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

კამათში მა გამოვიდნენ: სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. მატვეევი, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ხ. კაპტო, უსტინოვის სახელობის ლენინგრადის ელექტროსადგურის მძღოლთა ბრიგადის ჭაბუკობრიგადა ვ. ი. რამუნი, სრულიად საკავშირო ალკკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ვ. ნიკოლაევი, კოსმონავტი-მფრინავი, ორგანის საბჭოთა კავშირის გმირი ა. ს. ელისეევი, როსტოვის ოლქის მილიონერი რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ კომუნიზმუს" ტრაქტორისტი ვ. ტ. სლეპცოვი, ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ჯანიბეკოვი, ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. პოდერეზი, უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ხ. აბდულაევა.

დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის ანჯელო ოლივას, ხო ში მინის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის ვუ კუანგის, ბულგარეთის ახალგაზრდათა დემოტრიოული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ივან პანეევის გამოსვლები, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ საკავშირო კომკავშირის XVI ყრილობას. ტაშის გრიალში, რომელს დროსაც გაისმოდა შეძახილები „ვიეტნამი გაიმარჯვებს!", „მშვიდობა — მეგობრობა —სოლიდარობა", ეკ კუანგმა ყრილობას ჯადასცა ხო ში მინის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის დროშა.

ყრილობას ჯადაეცა ბერეთვე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის დროშა.

ამით სხდომა ცხრუნა.

საღამოს ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებისათვის გაიმართა ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

27 მაისს კომკავშირის XVI ყრილობაზე გრძელდებოდა დელეგატების კამათი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ყრილობას ესწრებიან ამხანაგები ა. პ. კირილენკო, კ. ო. კატუშევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის ფოლადჩამოსხმელი ვ. ნ. ტარასოვი, ლიტვის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. მორკუნასი, „კომსომოლსკაია პრავდის" მთავარი რედაქტორი ბ. დ. პანკინი, სრულიად საკავშირო ალკკ კოსონიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ე. ოლეინიკოვი, მწერალი კ. ა. ფედინი, სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. კოლმეგოროვი, სრულიად საკავშირო ალკკ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. შმალი, აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. გ. ახედეროვი, ქ. კემერეოვოს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ნ. ბ. სერიოდკინა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ნ. რომანოვი.

შემდეგ მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა. მან თქვა, რომ ყრილობისათვის არჩეულ ოთხასი ორმოცდაერთ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 27 მილიონ 28 ათას 301 კომკავშირელს, სამანდატო კომისიამ შეამოწმა ყრილობის დამსწრე ყველა დელეგატის რწმუნებანი და ცნო ისინი უფლებამოსილად.

სხდომის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ცნობას, რომ სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობის დელეგატებად ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

ახლანდელ ყრილობას ესწრება 864-ით მეტი დელეგატი, ვიდრე წინა ყრილობას. დელეგატების 70,9 პროცენტი არიან სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები. ეს მოწმობს პარტიასთან ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ურღვევ კავშირს, მოწმობს, რომ კავშირში წლითიწლობით მტკიცდება პარტიული ბირთვი.

საკავშირო ალკკ XVI ყრილობა

ოვმა. მან თქვა, რომ ყრილობისათვის არჩეულ ოთხასი ორმოცდაერთ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 27 მილიონ 28 ათას 301 კომკავშირელს, სამანდატო კომისიამ შეამოწმა ყრილობის დამსწრე ყველა დელეგატის რწმუნებანი და ცნო ისინი უფლებამოსილად.

სხდომის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ცნობას, რომ სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობის დელეგატებად ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

ახლანდელ ყრილობას ესწრება 864-ით მეტი დელეგატი, ვიდრე წინა ყრილობას. დელეგატების 70,9 პროცენტი არიან სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები. ეს მოწმობს პარტიასთან ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ურღვევ კავშირს, მოწმობს, რომ კავშირში წლითიწლობით მტკიცდება პარტიული ბირთვი.

ხუთნლედის ვახტზე

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ხუთი თვის გეგმა

თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში, ვადამდე, 26 მაისს, შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ საწარმოთა ნაწარმის გამოშვების 1970 წლის ხუთი თვის გეგმა. თვის ბოლომდე გამოშვებულ და რეალიზებულ იქნება გეგმის გადამეტებით 15 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. (საქდესი).

მაღაროელთა ნოგათი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები საქმით უპასუხებენ თბილისელი ფეიქრების თაოსნობას.

ლენინის ორდენოსანი მარგანეცის მ. ი. კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 19 მაისს შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ხუთი თვის დავალება. შრომის ნაყოფიერება გაზარდა 14 პროცენტით, ხოლო მოგებამ ოთხ თვეში 49.300 მანეთი შეადგინა.

გამართულად და მომჭირნეობით მუშაობენ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ი. დოხნაძე, ა. ლულუნიშვილი, მ. მოდებაძე, გ. ჭუმბურიძე ხელმძღვანელობენ. აგრეთვე მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა ირ. აბულაძის თაოსნობით. კალინინელები არჩეულებს დღისათვის სამშობლოს მისცემენ 6.000 ტონაზე მეტ ზეგეგმით მარგანეცს.

დღეს გაიხსნება საქართველოს არქიტექტორთა IX ყრილობა

მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს არქიტექტორთა IX ყრილობა. სურათზე: ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი, არქიტექტორები (მარცხნიდან) — სხედან: მ. კაკაბაძე, გ. ლეჟავა, ა. ქურდიანი, მ. ჩხენკელი, შ. დავითაშვილი, ი. ზაალიშვილი; დგანან: ს. კინწურაშვილი, ო. კვირკელია, ნ. შოშიტაშვილი, ნ. ჯანბერიძე, ვ. ბერიძე, გ. ფოცხიშვილი, გ. ჯაბუა, გ. მელქაძე.

ფოტო ვლ. ბინბაშიანისა.

სამახსოვრო საჩუქრები საბჭოთა ხალხს

როგორც პრესა აუწყებდა, მთელი რიგი ქვეყნების მომძღვ კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელ საბჭოთა ხალხს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

26 მაისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში გაიხსნა სპეციალური დარბაზი, სადაც წარმოდგენილია ეს საჩუქრები, რომლებიც გამოხატავენ საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა დიდ პატივისცემას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, საერთაშორისო მუშათა კლასის ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი. საჩუქრებს შორის არის ალიჩის სკულპტურული და ნაქსოვი პორტრეტები, პანოები და დეკორატიული ვაზები, ძვლის ჩუქურთმა, ლითონის ჭედურობა და სიყვარულით შესრულებული სხვა ნაწარმი, რომლებზეც აღბეჭდილია დიდი ბელადის სახე. მხატვრული ხერხებით საჩუქრები ასახავენ მომძღვ ქვეყნების მშრომელთა ცხოვრებას, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზით მიდიან.

ამავე დარბაზში წარმოდგენილია სამახსოვრო საჩუქრები, შრომითი პატაკები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დიდი თარიღისათვის ჩვენი სამშობლოს მთელი რიგი რესპუბლიკებიდან, ოლქებიდან, მსხვილი სამრეწველო ცენტრებიდან, საბჭოთა კავშირის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისაგან.

(საქდესის კორ.).

გულწრფელი თანაგრძნობა და დახმარება

სტიქიურ უბედურებასთან — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომხდარ წყალდიდობასთან დაკავშირებით, რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ქვეყნის სახალხო მეურნეობასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ უნგრეთის მოსახლეობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს ენე ფოკს, რომელშიც საბჭოთა მთავრობის სახელით გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, შომძე უნგრელ ხალხს, და ატყობინებს, რომ სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა დაეხმაროს საშენი მასალებით, სურსათითა და პირველი საჭიროების სხვა საგნებით.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა გადაწყვიტა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გაგზავნოს სურსათი და ზოგიერთი სხვა საქონელი. (საქდესი).

ერთიანი ერთიანობა

გულითადი შეხვედრები

ახალციხე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნიკოლოზ ივანეს-ძე სავინკინი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ახალციხის საარჩევნო ოლქში — შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ახალციხის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორმა თ. აუშვილამ ილაპარაკა იმ დიდ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობაზე, რომლის ვითარებ ა შ ი ხვდებიან მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. იკი შეეხო იმ დიდ სახელმწიფო და საზოგადო მუშაობას, რომელსაც საბჭოთა პარლამენტის დეპუტატები ახორციელებენ, ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზისა და მოღვაწეობის შესახებ. მთელი რიგი წლების მანძილზე ამბ. ნ. ი. სავინკინი იყო სამეთაურო და პოლიტიკურ საშუშაოზე საბჭოთა არმიის რიგებში, შემდეგ იკი სამუშაოდ გადაკეთდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში. 1968 წლიდან იკი არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე, სკკპ XXIII ყრილობაზე ნ. ი. სავინკინი აირჩიეს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრად. თ. აუშვილამ ამომრჩეველებს მოუწოდა არჩევნების დღეს ხმა მისცენ დეპუტატობის კანდიდატს ნ. ი. სავინკინს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე, „ახალციხეკანამბრის" ტაბაასმამართველის მთავარი ინჟინერი ა. ლომია, ახალციხის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი ნ. მხითარიანი, კომკავშირის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ხმალაძე, ადიკენის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა ეკონომიის დირექტორი გ. ლიპარიანელი. მათ განაცხადეს, რომ არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცემენ ხმას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის ეერთიანეს ბანდიდატს ნ. ი. სავინკინს.

შეხვედრაზე გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი ნ. ი. სავინკინი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს პატივისცემისთვის და აღუთქვა, რომ არ დაიშურებს ძალღონეს ეროვნების ყველა მათი განაწყენის შესრულებისათვის.

ფოთი. ფოთის საარჩევნო ოლქში შემავალი ქალაქ ფ ო თ ი ს, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ცხალაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ საზეიმოდ მორთულ ფოთის დრამატული თეატრის დარბაზში. აქ დიდი გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან, — პეტრე ალექსანდრეს-ძე როდიონოვთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მუშამ თ. ლაბარტყავამ. მან იკაპარაკა, თუ რა უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან ოლქის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. მრეველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინასაარჩევნო შრომითი ვახტი ამ აღმავლობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ა. ცხადაიამ ილაპარაკა, თუ რა მიღწევებით ეგებებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს, თუ რა მხურვალედ გამოეხმაურნენ ოლქის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვას ყველა ამომრჩეველისადმი.

შემდეგ ა. ცხადაიამ შეეხო ცვლილებებს, რომლებიც საარჩევნო ოლქის ცხოვრებაში მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებაზე, მის პარტიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაზე. ოლქის ამომრჩეველები, განაცხადა ნდობით აღჭურვილმა პირმა, არჩევნების დღეს სიხარულით მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს პ. ა. როდიონოვს.

ტრიბუნაზეა ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსი გ. ვატაკვი. იკი ლაპარაკობს იმაზე, რომ ფოთის ნავსადგურის მუშაკებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ა. როდიონოვი. მან გულთბილად დაახასიათა დეპუტატობის კანდიდატი და გამოთქვა რწმენა, რომ ფოთის ნავსადგურის მუშაკთა კანდიდატი პ. ა. როდიონოვი ღირსეულად გააამართლებს ნაღწეულ ნდობას და თქვა, რომ არჩევნების დღეს ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები ერთსულოვნად მისცემენ ხმას პარტიისა და ხალხის მონოლიური ბლოკის კანდიდატს პ. ა. როდიონოვს, ახალ შესანიშნავ მიღწევებს საშობოლოს სადიდებლად, ხალხის ინტერესებისათვის.

შემდეგ შეხვედრაზე გამოვიდნენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ვ. თოსაძე, ცხალაიის ხალიჩების საქსოვი კომბინატის მოწინავე მუშა ვ. ჯიქია, მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ვასაძე. ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განაათლების განყოფილების გამგე ვ. როდონაია, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ჭკუასელი, ფოთის პიდროშენაგენობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშა თ. ფადეჭკორია, რომლებმაც ილაპარაკეს, რომ, რა პოსტზედაც უნდა მუშაობდეს ამბ. პ. ა. როდიონოვი, იკი მუდამ ღირსეულად ასრულებს პარტიის მიერ მინდობილ საქმეს. მათ აღნიშნეს, თუ რა ბევრ ძალასა და ენერგიას ახმარს მათი კანდიდატი პარტიის მიერ დასახული პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ილაპარაკეს მის დამსახურებაზე საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საქმეში. ორატორებმა მოუწოდეს ოლქის ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ხმა მისცენ ხალხის ღირსეულ წარმომადგენელს, ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს პ. ა. როდიონოვს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს ნდობისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავიანთ კანდიდატად დასახელეს.

პ. ა. როდიონოვი შეხვდა აგრეთვე თავის ამომრჩეველებს ქალაქ მახარაძეში. მახარაძის სახელმწიფო თეატრის შენობაში გამართულმა შეხვედრამ ჩაიარა მეგობრულ, კეთილად ვითარებაში. გაიმართა პ. ა. როდიონოვის შეხვედრა ჩოხატაურის რაიონის მშრომელებთანაც.

ზესტაფონი. სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან რევაზ იასონის-ძე ფრანდაძესთან, რომელიც დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში სოხუმის სასთფლო საარჩევნო ოლქში.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ზესტაფონელ ფოლადმდნობელ ალეკსანდრ ალექსანდრეს-ძე ალექსანდროვმა. (საქდისი).

ერთიანი ერთიანობა

სურათებზე: მარცხნივ — არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენის ერთი კუთხე სურათების სახელმწიფო გალერიაში; მარჯვნივ — 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მაკეტი, — ავტორი შ. კვიმსაძე. ეს სახლი აშენდება თბილისში.

ფოტო ბ. ბოგოსიანის.

თანამედროვე მშენებლობის პრობლემები

საქართველოს ხუროთმოძღვრების IX ყრილობა გაიხსნება ლენინგრადში. რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის. ემზადებიან ქართველი ხუროთმოძღვრებიც. ისინი ცდილობენ ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების განაშენიანებასა და კეთილმოწყობის საქმეში. ამ პერიოდში ქალაქებსა და სოფლებს შეემატება არაერთი არქიტექტურული ნაწარმოები.

ქართველი ხუროთმოძღვრები თავიანთ IX ყრილობას აბარებენ სამი წლის მანძილზე ჩატარებული შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშს და განიხილავენ ხუროთმოძღვრების მნიშვნელობისა და შემდგომი განვითარების საკითხებს.

ცნობილია, რომ ხუროთმოძღვრების სოციალური მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში უაღრესად დიდი. არქიტექტორის შემოქმედებითი პროცესი ადამიანის გარემოს ორგანიზებას ახდენს, ადამიანს უქმნის ჰარმონიული ცხოვრების, შრომითი აღმავლობის, დასვენებისა და მომავალი თაობის აღზრდის ნორმალურ პირობებს. ამიტომ ქალაქმშენებლობის მრავალფეროვანი პრობლემების გადაწყვეტა, რაც მოიცავს არქიტექტურის ხელოვნების და სამშენებლო ტექნიკის ყველა დარგს, საჭიროა კომპლექსურად ხდებოდეს.

ქალაქმშენებლობის გრანდიოზული მასშტაბი მოითხოვს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, სახელმწიფოებრივ კონტროლს და ქალაქმშენებლობის დისციპლინის მკაცრად დაცვას. თუ ადრე ქალაქმშენებლობის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, დღეს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა და ყურადღების საგანროშია. ამის ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები. ამ დადგენილებებში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება გადაახალისებს ჩვენს შემდგომ მუშაობას და რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა არქიტექტურისა და მშენებლობის შემდგომი პროგრესისათვის. მაგრამ ყოველივე ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ სწორად განესაზღვრავთ მშენებლობისა და დაპროექტების პრობლემებს ჩვენი რესპუბლიკისათვის, სწორად გავითვალისწინებთ რესპუბლიკის რესურსებსა და შესაძლებლობებს.

ღღეს ქალაქმშენებლობის განვითარება და მისი პროგნოზები ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართოდ გამოყენებას, რასაც თავისთავად მოჰყვება ხარისხობრივი გარდაქმნები — წარმოების ტექნოლოგიის, ენერგეტიკის, შრომის საშუალებების, მმართველობის ორგანიზაციის, შრომითი მიღწევების სფეროში. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე განაშენიანება უშუალოდ არის დაკავშირებული საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებასთან.

მიმდინარე წლის თებერვალში ქ. მოსკოვში გაიმართა სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი თემაზე „საბჭოთა ქალაქმშენებლობის განვითარების პერსპექტივები". თათბირი საინტერესო და დროული იყო. დაისვა და განხილულ იქნა მრავალი საინტერესო პრობლემა, დაკავშირებული მომავლის ქალაქის სტრუქტურისა და მასში ცხოვრების ორგანიზაციის საკითხებთან.

ქალაქმშენებლობის პროგნოზების დამუშავება ჯერ კიდევ ვერა ღრას სანთანდო სიმაღლეზე და განსაკუთრებულ ყურადღებას, მეცნიერულ დონეზე აყვანას მოითხოვს. ყველას ერთნაირად გვაინტერესებს, თუ რა გავლენას მოახდენს არქიტექტურის ხასიათსა და მასშტაბზე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგები, როგორი იქნება არქიტექტურის განვითარების ტენდენციები და რა ზეგავლენას მოახდენს ხელოვნება თანამედროვე და მომავლის მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების განვითარებაზე; რა ადგილს დაიჭერს ტექნიციზმის პერიოდში ადამიანის შემოქმედებითი ნიჭი, ემოციები, გრძნობები.

არქიტექტურის შემდგომი განვითარება საერთოდ დიდი და რთული პრობლემების წინაშე დგას. ჩვენს რესპუბლიკაშიც ძალიან ცოტას ვმუშაობთ ან სრულებით არ ვმუშაობთ ამ პრობლემაზე. რის გამო ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა ძნელი ხდება. ბუნებრივია, მომავლის პრობლემებზე ფიქრი სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ ვიმუშაოთ ჩვენს ყოველდღიურ ამოცანებზე.

უახლოესი წლების მანძილზე ბევრი რამ საყურადღებო და საინტერესო გაკეთდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ხაზით. ეს პერიოდი აღინიშნება ქართველი ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი აღმავლობით. შეიქმნა ბევრი თვალსაჩინო ნაგებობა, აშენდა ადმინისტრაციული, კულტურული, საგანმანათლებლო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტები.

დამუშავებული და დამტკიცებულია თბილისის სამრეწველო რაიონის რაიონული დაგეგმარების პროექტი, რომელიც მოიცავს ტერიტორიას რუსთავსა და ხაშურს შუა; დამტკიცდა საქართველოს შაჯი ზღვის საურორტო ზოლის რაიონული დაგეგმარების პროექტი, რომლის განხორციელება საშუალებას მოგვცემს გარკვეული წესრიგი დავამყაროთ ამ ზოლის განაშენიანებაში. დამტკიცებულია ქობულეთის, ფუშეთის, საჩხერის, ლესელიძე-გნმიადის, ცაიშის, მენჯის, უწერის და ცივი კოდის განაშენიანების გენერალური გეგმები. განხილვის პროცესშია გორის, რუსთავის, გაგრის, ურეკის, სამტრედიის, გუდაუთის, საგარეჯოს, ლენინგორის, შოვის, ახალი ათონის, ფასანაურის და სხვა ქალაქებისა და კურორტების გენერალური გეგმები. თავისთავად ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარების პროექტების დამუშავება დიდი მნიშვნელობის ფაქტია, ეს მალე საშუალებას მოგვცემს გარკვეული წესრიგი დავამყაროთ განაშენიანებაში.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ვენერალური გეგმის დამუშავება პერსპექტიული ვადისათვის (2000 წელი) ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მოვლენაა საანგარიშო პერიოდში. ვენერალური გეგმა დღეს განხილვის პროცესშია, შეთანხმებულია ყველა ორგანიზაციასთან, მათ შორის საკავშირო საგეგმო კომიტეტთან. საშინაო და სამოკალაქო მშენებლობის საკავშირო კომიტეტის საქმესერტო ჯგუფი უკვე ამთავრებს მუშაობას, რის შემდეგ მოხდება გეგმის საბოლოო განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა ჯერ დამტკიცებული არ არის, მაინც შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი, შესრულებული მაღალ პროფესიულ დონეზე, თანამედროვე ქალაქგეგმარების პრინციპებისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით. ეს კი საშუალებას მოგვცემს სწორად და მიზანდასახულად წარმართოთ თბილისის შემდგომი განვითარება.

გარდა ამისა, რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალი თვალსაჩინო არქიტექტურული ნაგებობა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი დიღომში (ავტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი). ვ. ალექსი-მესხიშვილს ამ ნაგებობისა და თბილისის მეტროს მიწისქვეშა სადგურ „ლენინის მოედნისათვის" რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა; აიგო სასტუმრო „ივერია" (ავტორი ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე); სასტუმრო „ივერიას" საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ უკანასკნელ წლებში აშენებული საუკეთესო შენობების საკავშირო კონკურსში მესამე პრემია მიეკუთვნა. ქართველი არქიტექტორების ბურთალოსა და დიღუბის რაიონების შემაერთებელი ხიდის მშენებლობა მდინარე მტკვარზე. ამით საერთაშორისოდ განიკვირთება ქალაქის ცენტრალური რაიონი (გზირთა მოედნის ჩათვლით). დაწყებულია კახეთის გზატკეცილის ეკონსტრუქცია. სამუშაო დიდი და რთულია. ტრანსპორტის მოძრაობის გადაკვეთა მოხდება ორ დონეზე, გაშენდება გზაგამტარები, ვიადუკები. თბილისი მიიღებს უწყვეტ მოძრაობის გრძივ მაგისტრალს. დაიწყება ეგრთია მოედნის — ქალაქის ამ რთული სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქცია. შენდება „ინტურისტის" 22-სართულიანი სასტუმრო (ავტორი მ. მელია) ლენინისა და პეკინის ქუჩების განშტოებაზე, „საქქალაქმშენსახსტროეტის" მრავალსართულიანი კორპუსი ვაკეში (ავტორები ა. საბაშვილი, ს. რევიშვილი), კინოსაკონცერტო დარბაზი (ავტორი ი. ჩხენკელი), სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კომპლექსები საბურთალოსა და დიღომში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსი და სხვ.

ქართველი არქიტექტორები დიდ შრომას ეწევიან რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და სოფლების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ხაზითაც. ქ. ქუთაისში აშენდა ტურბაზა (ავტორი შ. ნოხელიძე), მიმდინარეობს ფილარმონიის შენობის რეკონსტრუქცია (ავტორი მ. თოდაძე), გაშენდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა ქ. ბათუმში (ავტორები ქ. ბურჭულაძე, შ. მამულაძე), ტურბაზა ცხინვალში (ავტორი ქ. ბურჭულაძე).

არქიტექტორთა IX ყრილობასთან დაკავშირებით, სამხატვრო გალერეაში მოეწყო საპროექტო ინსტიტუტებისა და ცალკეულ არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა. ადგილის სიმცირის გამო იქ ვერ შეეძლოთ სრულყოფილი გამოფენის მოწყობა, მაგრამ წარმოდგენილი პროექტები და ცალკეულ არქიტექტორთა ნამუშევრები ცხადყოფენ ჩვენი არქიტექტორების დიდ და ნაყოფიერ მუშაობას, შემოქმედებითს სრულყოფას. წარმოდგენილი პროექტების განხორციელება ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მაღალმხატვრული განაშენიანების საწინდარი იქნება.

ი. ჩხენკელი.
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს

ხანგრძლივობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

